ოქმი:**ო12. 3726166001**

თარიღი:**15/06/2026**

ოქმი N 11

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2026 წელი, 12 ივნისი

ქ.ოზურგეთი

14:00 -14:30 საათი

თავმჯდომარეობდა: ტატა ბარამიძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ქ.ვასაძე, დ. ხურციძე, ხ. ცერცვაძე, ნ. ნადირაშვილი, ნ. ჭანიშვილი, ი. დობორჯგინიძე, გ. კალანდაძე, თ. ქავთარია, მ. ცქვიტინიძე, ე. წუწუნავა, გ. ჩავლეშვილი, გ. სირაძე.

სხდომის თავმჯდომარემ, ტ. ბარამიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ონკოლოგიური დაავადების მქონე პირთა დახმარების პროგრამის მიმდინარეობის თაობაზე.

მომხსენებელი: ტატა ბარამიძე

თანამომხსენებელი: მარიამ დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ტ. ბარამიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგში წარმოდგენილი საკითხი, ვრცლად მასზე ისაუბრა თანამომხსენებელმა მ. დარჩიამ, აღინიშნა, რომ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში, მუნიციპალიტეტის მერიაში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მნიშვნელოვნადაა გაზრდილი ონკოდაავადებულთა მომართვიანობა(255-ადამიანი), სამწუხაროა -მათ შორის უმრავლესობა ავთვისებიანი სიმსივნითაა დაავადებული, ბიუჯეტში პროგრამის განხორციელების გასაგრძელებლად აუცილებელი იქნება ასიგნებების დამატებით გამოყოფა.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს წინადადებას - ინფორმაცია წარედგინოს საკრებულოს მორიგ სხდომას განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

გადაწყვიტეს:

სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკითხი წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას განსახილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

ტატა ბარამიძე

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი